პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ივნისი, პარასკევი, 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 149 (14145)

გორკის დღეები საქართველოში



# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების, მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისა და მეცნიერების პროგრესის შედეგად დიდი წარმატებებია მიღწეული საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებაში. თანმიმდევრულად ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სოციალისტური პრინციპები — უფასო მკურნალობა, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების საერთო ხელმისაწვდომობა, დაავადებათა ფართო პროფილაქტიკა.

სსრ კავშირში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. შემცირდა მოსახლეობის ავადობა, ლიკვიდირებულია ბევრი ინფექციური ავადმყოფობა. ხალხის ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, ყველა ღონისძიების განხორციელება ჯანმრთელობის დაცვის დარგში ემყარება მტკიცე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და მედიცინის მეცნიერების წარმატებებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სამშობიარო სახლებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების, აგრეთვე კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ფართო ქსელი. ექიმებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მხრივ საბჭოთა კავშირს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს დედათა და ბავშვთა დაცვისათვის, სპეციალიზებული ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების მოწყობისა და ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღსაზრდელად პირობების შექმნისათვის.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ პროფესიულ კავშირებს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში საერთო დიდ წარმატებათა დროს ჯერ ყველა არსებულ შესაძლებლობას ვერ იყენებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ საკმაოდ თანაბრად ვერ კმაყოფილდება სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება სამედიცინო დახმარებაზე. მათ შორის ცალკეულ სახეთა სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებაზე. მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებათა მოთხოვნილება ზოგიერთ მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმზე.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის დადგენილი ვადები მთელ რიგ ადგილებში ირღვევა. დაბალია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი. მთლიანად არ ხდება კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება. საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შენობათა ბევრი პროექტი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

საკმარო ყურადღება არ ეთმობა წარმოებაში შრომის პირობების გაუმჯობესებას, ჰაერის, წყალსატევების, ნიადაგის გაჭუჭყიანების ლიკვიდაციასა და თავიდან აცილებას, სათანადო კონტროლს არ უწევენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვას.

ნაკლოვანებებია მედიცინის მუშაკთა მომზადებასა და გამოყენებაში. გაუმჯობესებას მოითხოვს მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში ნელა ინერგება მეცნიერული მიღწევები. საკმაო კვლევა არ მიმდინარეობს მედიცინის მეცნიერების ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად ჩაითვალოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მუდმივი გაუმჯობესებისათვის ზრუნვის შემდგომი გაძლიერება იმ სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა გაფართოება, რომლებიც ხელს უწყობენ დაავადებათა თავიდან აცილებასა და შემცირებას.

2. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებისა და განმტკიცების ღონისძიებანი და გაითვალისწინოს წინადადებანი, რომლებიც გამოთქვეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პალატების კომისიებმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მეშვიდე მოწვევის მეოთხე სესიაზე სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხის განხილვის დროს.

3. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფისათვის. ამასთან საჭიროა:

— გააუმჯობესონ ჯანმრთელობის დაცვის დაგეგმვა; აამაღლონ კაპიტალდაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის დროს, მეტი კონტროლი გაუწიონ მშენებლობის მიმდინარეობასა და ხარისხს და აღნიშნული ობიექტების დროულად ამოქმედებას; გააუმჯობესონ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მოწყობილობით, ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

— განახორციელონ ღონისძიებანი მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშებისათვის და ქალაქის სხვა კატეგორიების მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების შემდგომ გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მოსახლეობისათვის, აგრეთვე დედების, ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების განვითარებას; გააუმჯობესონ სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური, სასწრაფო და გადაუდებელი დახმარება, აამაღლონ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის კულტურა;

— გააფართოონ მაღალეფექტიანი სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის წარმოება; უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება მედიკამენტებზე და ჰიგიენისა და სანიტარიის საგნებზე; გააფართოონ აფთიაქებისა და საფთიაქო პუნქტების ქსელი;

— განახორციელონ ღონისძიებანი მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების მოწყობის გაუმჯობესებისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის უფრო ფართოდ გავრცელებისათვის; უზრუნველყონ საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სანატორიუმების, ტყის სკოლების, პიონერთა ბანაკების ქსელის შემდგომი განვითარება; მეტი კონტროლი გაუწიონ ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების რაციონალურ გამოყენებას.

4. აამაღლონ ექიმთა და საშუალო მედიცინის მუშაკთა მომზადების ხარისხი და პროფესიული კვალიფიკაციის დონე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამედიცინო კადრების რაციონალურ განაწილებას, რათა უფრო სრულად უზრუნველყონ ექიმებით სოფლის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

5. საჭიროდ ჩაითვალოს გავაფართოოთ მეცნიერული კვლევა იმ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია დაავადების თავიდან აცილებასა და მკურნალობასთან და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებასთან; უზრუნველვყოთ ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა.

6. სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზებით გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, წყლის წყაროების სამრეწველო ჩამდინარე წყლით გაჭუჭყიანებისაგან დაცვის გაძლიერებისა და სამრეწველო ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით ნიადაგის გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის, ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, აგრეთვე უზრუნველყონ შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების უთუო დაცვა.

7. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებთან ერთად დაამთავრონ მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე, ამასთან გაითვალისწინონ სსრ კავშირის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების მდგომარეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხის განხილვა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1968 წ. 26 ივნისი.

---

გ ო რ კ ი უდიდესი მხატვრული ტალანტია, რომელმაც ბევრი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას.

ვ. ი. ლენინი.

---

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საიუბილეო გაერთიანებული პლენუმი, რომელიც ეძღვნება — დიდი პროლეტარული მწერლის, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს

დაბადების 100 წლისთავს, გაიხსნება დღეს 2 საათზე რუსთაველის თეატრის შენობაში.

---

# თბილისში ჩამოვიდნენ ზეიმის მონაწილე საზღვარგარეთელი სტუმრები




ალექსი მაქსიმეს ძე გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელიც ჩვენი სამშობლოს დიდაქალაქში დაიწყო, დასასრულს უახლოვდება.

სულ რაღაც სამი დღის წინათ რევოლუციის ქარიშხალას მშობლიური ქალაქის — გორკის წმიდათა წმიდა მიწა მასპინძლობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მწერლებს, ევროპის, აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის 22 ქვეყნის ლიტერატურათა წარმომადგენლებს.

ვოლგის ნაპირებზე ღრმა პატივისცემით იხსენიებდნენ საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელს. დიდი მწერლის სამშობლოში გამართული დღესასწაული მთელი საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაულად გადაიქცა.

ამ დღეებში ყოფილი ნიჟნი ნოვგოროდი, რომელიც ამჟამად ამაყად ატარებს მწერლის სახელს, და თბილისი თითქოს მეგობრობისა და ძმობის უხილავი ძაფებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, როგორც გორკის ტრადიციების უკვდავების ცოცხალი მაგალითი. ქალაქ გორკში 100 წლის წინათ დაიბადა კაცი, რომელსაც მხატვრული გენიით სახელი უნდა გაეთქვა თავისი ხალხისათვის, თბილისში კი 24 წლის ჭაბუკი გახდა მაქსიმ გორკი, კაცი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს.

ამიტომ საქართველოს დედაქალაქი შემთხვევით როდი აირჩიეს ადგილად, სადაც მთავრდება დღესასწაული, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა და საზღვარგარეთი მოიარა.

27 ივნისს თბილისი გულგაშლილად და სტუმართმოყვარულად შეხვდა საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში გორკის დღეებისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მწერლები მოვიდნენ თბილისის აეროპორტში, რათა მისალმებოდნენ სტუმრებს.

დამხვდურთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. აბაშიძე.

თვითმფრინავიდან ჩამოდიან ცნობილი კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი, ავსტრალიელი მწერალი ჯუდა უოტენი, ფინელი მწერლები იოჰანი კონკა და პეკა ლოუნელა, ლიბანელი მოჰამედ იტანი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სიდნეი ფინკელსტაინი, ურუგვაელი ალფრედო გრავინა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ხუანგ სუან ნი, რუმინელი მწერლები ა. გილიჩი, ტ. ვირგოლიჩი და ვ. რიბრიანუ, იუგოსლაველები მაკ დიზარი და რადვან ზოგოვიჩი, ბულგარელი ივანე ცვეტკოვი, ჩეხოსლოვაკიელი ვაცლავ ბოგუნეკი და ვერა მარუშანოვიჩი, პოლონელი ვესლავ ევჯინსკი.

მათ ჩამოსვლისთანავე გადაეხვივნენ მეგობრები, პიონერებმა კი თაიგულები მიართვეს.

დღეს თბილისში ჩამოდის საბჭოთა მწერლების დიდი ჯგუფი.

გ. გაბრიაძე,
გ. ჟანიშვილი,
საქდესის კორესპონდენტები.



სურათზე: მაქსიმ გორკის საიუბილეო დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისში. მარცხნიდან — პოლონელი მწერალი ვესლავ ევჯინსკი, ჩეხი მთარგმნელი ვერა მარუშანოვიჩი, ფინელი მწერალი ლოუნელა და მისი მეუღლე, ვიეტნამელი კრიტიკოსი ხუანგ სუან ნი.

ფოტო ხ. კილაძისა.

---

## სტუმრები უნგრეთიდან

მოსკოვი. 27 ივნისი. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, უნგრელ მეგობრებს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, კ. ფ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

## მომავალი ვიზიტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე გამალ აბდელ ნასერი შეთანხმების შესაბამისად ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა საბჭოთა კავშირში 1968 წლის 4 ივლისს.

## სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტის შემმუშავებელი კომისიის სხდომა

26 ივნისს გაიმართა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის შემმუშავებელი და კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

კომისიის განსახილველად წარდგენილი იყო წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტის გამო, რომლებიც შემოვიდა რესპუბლიკებისაგან, მხარეებისა და ოლქებისაგან, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისაგან.

სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კომისიამ განსაზღვრა შემდგომი მუშაობის წესი.

## უმაღლეს პარტიულ სასწავლებელს გადაეცა ლენინის ორდენი

მოსკოვი, 26 ივნისი. (საქდესის კორ.). დღეს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისათვის ლენინის ორდენის გადაცემას. უმაღლესი ჯილდო ამ უდიდეს პარტიულ სასწავლებელს მიენიჭა პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადებასა და გადამზადებაში დიდი დამსახურებისათვის და დიდი მეცნიერული და სასწავლო-მეთოდური მუშაობისათვის.

კრება გახსნა სკოლის რექტორმა ნ. რ. მიტრონოვმა. დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, გულითადად მიულოცა უმაღლესი პარტიული სკოლის კოლექტივს მთავრობის ჯილდო, უსურვა მას ახალი წარმატებანი მუშაობაში. დარბაზის ტაშის გრიალში მ. ა. სუსლოვმა ლენინის ორდენი მიაბნია სკოლის დროშას.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

მოსკოვი, 27 ივნისი. დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში დაიწყო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დარბაზში შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. ფ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, კ. ფ. კატუშევს, ფ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, სსრ კავშირის მთავრობის წევრებს.

დეპუტატები გულთბილად მიესალმნენ ინდოეთის საპარლამენტო დელეგაციას ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის თავმჯდომარის დოქტორ ნ. სანჯივა რედის მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ს. სოლომენცევმა.

ამის შემდეგ სესია გადავიდა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვაზე — საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ.

მოსკოვი, 27 ივნისი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო — საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდნენ გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი დეპუტატი ლ. ნ. ტოლკუნოვი, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი დეპუტატი ა. სადიკოვი, ირკუტსკის ოლქის ნიჟნეუდინსკის რაიონის სკკპ XXIII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დეპუტატი ა. ვ. პეტროვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დეპუტატი ი. ნ. ვეკუა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი დეპუტატი პ. ტ. პიმენოვი, ამიერკარპატის ოლქის ტიაჩევის რაიონის ბუშტინის ხე-ტყის კომბინატის პარკეტის საამქროს მეჩარხე დეპუტატი ა. ი. პოკოტილო, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი მ. ბ. იქსანოვი და ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ა. ი. სნეჩკუსი.

ამით საკითხის განხილვა დამთავრდა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. დადგენილება სავსებით იწონებს სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკას და პრაქტიკულ მოქმედებას საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

დღის წესრიგის ყველა საკითხი განხილულია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია დახურულად ცხადდება. (საქდესი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

## დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევისა და სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში და მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. საბჭოთა სახელმწიფომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად აქცია ჯანმრთელობისათვის ზრუნვა თვითეული ადამიანის პირადი საქმიდან საზოგადოებრივ კატეგორიად, სახელმწიფოებრივ პირველხარისხოვან საქმედ, რომელიც ყველაზე დიდმნიშვნელოვან საქმეთა რიგში დგას. ამის საუკეთესო დადასტურებაა თვით ფაქტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე ამ საკითხის განხილვისა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დეპუტატ პეტროვსკის მოხსენებაში დამაჯერებლად იყო ნაჩვენები ჭეშმარიტად გიგანტური წარმატებანი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ყველა სფეროში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა საბჭოთა მედიცინის მიერ მოპოვებული წარმატებანი ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის, რუსეთის იმპერიის ყოფილი განაპირა მხარეების, და კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითით. რევოლუციამდე მთელ საქართველოში იყო 40-მდე პატარა საავადმყოფო დაწესებულება და მუშაობდა სულ 460 ექიმი, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ უმთავრესად თბილისსა და სხვა ქალაქებში. სოფლის მოსახლეობა კი არსებითად მოკლებული იყო კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. გასაკვირველი როდია, რომ ამ პირობებში ეპიდემიებით და სხვადასხვა ინფექციური დაავადებით იღუპებოდა უამრავი ხალხი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის უდიდესი მეცადინეობის შედეგად საქართველოში, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მიღწეულია ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების განვითარების უმაგალითოდ მაღალი დონე. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დიდი ასიგნობანი ხმარდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა გაფართოებას, და ეს ასიგნობანი წლითიწლობით იზრდება. აშენებულია და შენდება ახალი, მრავალპროფილიანი და საბავშვო საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, დისპანსერები და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

თბილისში შენდება მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით დაპროექტებული 1.100-საწოლიანი ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე სამედიცინო აპარატურით ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლისათვის. ამ საავადმყოფოს მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს მომავალი წლის დამლევს. ამ ობიექტის სპეციალური მოსაპირკეთებელი და სხვა მასალებით, მოწყობილობითა და აპარატურით უზრუნველყოფაში ზოგიერთი სიძნელის მიუხედავად, იმედი გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სხვა უწყებების დახმარებით საავადმყოფო საექსპლოატაციოდ გადავცეთ დანიშნულ ვადაზე. ვფიქრობთ, რომ ეს ერთ-ერთი სანიმუშო სამკურნალო დაწესებულება იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და ეთმობა სოფლის მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების ყოველნაირად გაუმჯობესებას, იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს წლებში გავუთანაბროთ იგი ქალაქის დონეს. ყოველწლიურად დგება მწყობრში ახალი დიდი რაიონული საავადმყოფოები, რომლებიც რაიონში ყველა სამედიცინო ღონისძიების ცენტრი ხდება. ხოლო მცირე სიმძლავრის საუბნო სასოფლო საავადმყოფოების ბაზაზე, რომლებსაც არ ძალუძთ კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყონ მოსახლეობა, იქმნება გამსხვილებული სასოფლო ამბულატორიები. თუ 1961 წელს რაიონული საავადმყოფოების საშუალო სიმძლავრე 80 საწოლს შეადგენდა, ამჟამად იგი გაორკეცებულია და გაიზრდება ისე, რომ უახლოეს წლებში 300-500 საწოლს მიაღწევს.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში მომხდარი ძირეული ცვლილებების თვალსაჩინოდ ჩვენებისათვის ნება მიბოძეთ მოვიყვანო ასეთი მაგალითი. რევოლუციამდელ წლებში საქართველოს ერთ-ერთ დიდ რაიონში — თელავის რაიონში, რომლის მოსახლეობა რამდენიმე ათეულ ათას კაცს შეადგენდა (ეს არის მევენახეობის რაიონი, ცნობილი იმით, რომ აქ აწარმოებენ სახელგანთქმულ ქართულ ღვინოებს — წინანდალს, ნაფარეულს, მუკუზანს), იყო მხოლოდ ერთი სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ემსახურებოდა ირობის ექიმი და რამდენიმე ფერშალი. ახლა ამ რაიონში მუშაობს 300-საწოლიანი ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, 95-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო, 100-საწოლიანი სამშობიარო სახლი, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერი სტაციონარით, 3 სასოფლო საუბნო საავადმყოფო, დიდი რაიონული პოლიკლინიკა, სპეციალიზებული დისპანსერი, 13 სასოფლო ამბულატორია, საფერშლო-სამეანო პუნქტები, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, რომელთა მუშაობას უზრუნველყოფს 145 ექიმი და 500-ზე მეტი საშუალო სამედიცინო მუშაკი.

მოსახლეობის ყოფაცხოვრების ძირეულად გაუმჯობესების, კულტურული დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების შედეგად და, უწინარეს ყოვლისა, უფართოესი და ეფექტიანი სამედიცინო პროფილაქტიკის შედეგად შემცირებულია საერთო ავადობა და სიკვდილიანობა, მოსპობილია მალარია — წარსულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება; თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია დიფთერია, პოლიომიელიტი; მკვეთრად შემცირდა დიზენტერია და კუჭ-ნაწლავის სხვა დაავადებანი. ფართოდ გაიშალა ბრძოლა ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, საქართველო მდიდარია კურორტებით. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსებით. რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 1.500-ზე მეტი სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის სამკურნალო-მინერალური წყარო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი — ბორჯომი, რომელიც მისაწვდომი იყო მხოლოდ რევოლუციამდელი რუსეთის არისტოკრატიის მაღალი წრეებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკის კურორტები ფართოდ განვითარდნენ. საქართველო გადაიქცა სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერად. დიდად პოპულარული და ცნობილია ისეთი კურორტები, როგორიც არის წყალტუბო, ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, აბასთუმანი, საირმე, მენჯი, საექსპლოატაციოდ ახლახან გადაცემული კურორტი ბიჭვინთა და მთელი რიგი სხვა კურორტები, სადაც მარტო 1967 წლის მანძილზე ისვენებდა და ჯანმრთელობა გაიუმჯობესა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა 2 მილიონზე მეტმა კაცმა.

მიღწევები ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ქალაქებსა და სოფლებში სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე დონეზე შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ გვყოლოდა მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მედიკთა და მკურნალ ექიმთა კადრები.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობს 16.9 ათასზე მეტი ექიმი, 40 ათასზე მეტი საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაკი და უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 4 ათასამდე ფარმაცევტი.

სამედიცინო კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტმა, რომლებმაც მოამზადეს მედიცინის 20 ათასზე მეტი სხვადასხვა სპეციალისტი და კვალიფიკაცია აუმაღლეს 30 ათასზე მეტ ექიმს.

ფართოდ განვითარდა მედიცინის მეცნიერება. სამედიცინო პროფილის 22 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა თანამედროვე მედიცინის აქტუალური პრობლემების დარგში 1.2 ათასამდე მეცნიერი მუშაკი, 107 მეცნიერებათა დოქტორი და 480 მეცნიერებათა კანდიდატი. ქართველმა მეცნიერებმა სერიოზული კვლევა შეასრულეს ისეთ დარგებში, როგორიც არის კიბოს დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ხელოვნური შარდის ბუშტის შექმნა და შარდსადინარების გადანერგვა, ტუბერკულოზისა და ოთოსკლეროზის ქირურგიული მკურნალობა. ოთოსკლეროზის ქირურგიული მკურნალობის შემუშავებისა და ოპერაციის გაკეთებისათვის სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს პროფესორ ხეჩინაშვილს სსრ კავშირის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია.

მეცნიერი მედიკები აქტიურად მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში, დიდ დახმარებას უწევენ სამედიცინო დაწესებულებებსა და მკურნალ ექიმებს გავრცელებულ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ყოველდღიური საკითხების გადაწყვეტაში, რითაც განამტკიცებენ მეცნიერების კავშირს პრაქტიკასთან.

ამხანაგო დეპუტატებო! წარმატებანი ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების განვითარებაში უდავოა. ამ წარმატებათა შესახებ დამაჯერებლად ითქვა მოხსენებასა და დეპუტატთა გამოსვლებში. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ამ მაღალი მიღწევებით, ისევე როგორც ყველა წარმატებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მაგრამ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე საკითხის განხილვის ძირითადი მიზანი ის არის, რომ გამოვავლინოთ სსრ კავშირის მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარებასა და ჯანმრთელობის დაცვაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, შევიმუშაოთ და დავსახოთ მათი აღმოფხვრისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ამ ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

მოხსენებაში სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ წლითიწლობით არადამაკმაყოფილებლად წარმოებს იმ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება, რომლებსაც სახელმწიფო გამოჰყოფს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, საბავშვო ბაგებისა და სკოლამდელი დაწესებულებების გაფართოებისა და მშენებლობისათვის; ხდება კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა მატერიალური რესურსების დაქსაქსვა მრავალ ობიექტზე. მაგრამ იქაც კი, სადაც კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება წარმატებით ხდება და ობიექტების ამუშავების გეგმებს ასრულებენ, მშენებლებს შეიძლება წავუყენოთ სერიოზული პრეტენზია შესრულებულ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო. გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ბევრი ტექნიკური პროექტი, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად არ შეესაბამებიან თანამედროვე მედიცინის განვითარების დონეს.

უნდა დავსახოთ და უახლოეს ხანში განვახორციელოთ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების კაპიტალურ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებანი. საქმე ეხება არა მარტო გამოყოფილი სახსრების უზრუნველყოფასა და სრულ ათვისებას და ობიექტების დროზე ამოქმედებას, არამედ იმასაც, რომ სისტემატურად გავზარდოთ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის გამოყოფილი ასიგნობანი და მატერიალური რესურსები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჯეროვნად აისახება სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმის პროექტებში, რომლებიც ახლა მუშავდება.

მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მოვამზადოთ ექიმთა კადრები, ავამაღლოთ მათი კვალიფიკაცია და სპეციალიზაცია და პირველ რიგში მოვამზადოთ ფართო საექიმო პროფილის ახალგაზრდა სპეციალისტები დამოუკიდებელი სამკურნალო პრაქტიკისათვის. ამ მხრივ უნდა განზოგადდეს და ფართოდ გავრცელდეს ახალგაზრდა სპეციალისტების კლინიკური მომზადების ღონისძიებანი სწავლების უკანასკნელი წლის განმავლობაში, რაც ხორციელდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიშველობით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ექიმებისა და უწინარეს ყოვლისა იმ ახალგაზრდა სპეციალისტების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც სოფლად იგზავნებიან სამუშაოდ. თუმცა ეს საკითხი არაერთხელ განუხილავთ რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება ამ საკითხზე, მაგრამ ადგილებზე ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებას ჯერ კიდევ არ უთმობენ საჭირო ყურადღებას. ამავე დროს ექიმების ყოფაცხოვრებისათვის ზრუნვა, მათთვის შესაბამისი საბინაო და კომუნალური პირობების შექმნა იმის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, რომ სამედიცინო მუშაკები შევინარჩუნოთ ადგილებზე, და მაშასადამე, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჯანმრთელობის დაცვის საქმე. საჭიროა გადავწყვიტოთ საკითხი მედიცინის მეცნიერებათა იმ დოქტორებისა და კანდიდატების შრომის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მკურნალ ექიმებად მუშაობენ. ექიმთა ეს კატეგორია შრომის ანაზღაურების მხრივ უნდა გავუთანაბროთ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხები აქვთ და უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ.

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჯანმრთელობის დაცვის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს — სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა აღჭურვას უახლესი სამედიცინო ტექნიკით, სპეციალური სამედიცინო აპარატურითა და ავეჯით, სამარჯვებით, რომლებიც სამედიცინო პერსონალს უმსუბუქებენ შრომას ავადმყოფთა მკურნალობისა და მოვლისათვის. მომწიფდა ის საკითხი, რომ შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოები, რომლებიც მასობრივად დაამზადებენ სამედიცინო ავეჯსა და სამარჯვებს.

სერიოზული პრეტენზიები უნდა წავუყენოთ სამედიცინო მრეწველობას მედიკამენტების წარმოების საქმეში. ექიმის მიერ სწორად და დროულად დასმული დიაგნოზი მხოლოდ ნახევარი საქმეა. ავადმყოფის განკურნებისათვის საჭიროა საკმაო რაოდენობით გვქონდეს მაღალი ხარისხის სამკურნალწამლო პრეპარატები. მიუხედავად იმისა, რომ მედიკამენტების წარმოება წლითიწლობით ფართოვდება როგორც ნომენკლატურით, ისე რაოდენობით, როგორც ეს აღნიშნული იყო მოხსენებაშიც, ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არა გვაქვს ზოგიერთი პრეპარატი, რომლებიც ფართოდ იხმარება გავრცელებულ დაავადებათა მკურნალობის დროს. გამოსაშვებ სამკურნალო საშუალებათა ნომენკლატურის განუწყვეტლივ გაფართოებასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვაუმჯობესებდეთ მათი წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რათა ამ პრეპარატების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად, შევამციროთ წარმოების ხარჯები პრეპარატების გასაყიდი ფასის შემცირების მიზნით.

საჭიროა გავადიდოთ [illegible] ნი ზოგიერთი, კერძოდ, ტუბერკულოზიანი ავადმყოფების კვებისათვის, რომელთა მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გაძლიერებული, რაციონალური კვება.

ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ორგანოების ლიკვიდაციამ და რაიონისა და რაიონული საავადმყოფოების მთავარი ექიმების თანამდებობათა შეთავსებამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და უარყოფითი გავლენა მოახდინა სასოფლო რაიონების ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაზე. ამან შეასუსტა აგრეთვე სამკურნალო მუშაობისადმი ხელმძღვანელობა რაიონულ საავადმყოფოებში, რადგან მათი მთავარი ექიმების ყურადღება ჩამოაშორა უშუალო მოვალეობათა შესრულებას. მე არ მოვითხოვ ჯანმრთელობის დაცვის რაიონულ განყოფილებათა აღდგენას, თუმცა ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია გადაიჭრას რაიონის მთავარი ექიმისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობათა განაწილებისა და რაიონის მთავარი ექიმის დამოუკიდებელი აპარატის შექმნის საკითხი, რათა ამ აპარატმა უხელმძღვანელოს მრავალმხრივ საქმიანობას ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის დარგში. აღნიშნული ღონისძიება შეიძლება განხორციელებულიყო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ადმინისტრაციული პერსონალის საერთო საშტატო ერთეულების ხარჯზე.

საბავშვო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და სკოლამდელი

## საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

### სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

(გაგრძელება 3-ე გვერდზე)

# დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება

(გაგრძელება)

ხელშეკრულების პროექტი მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, და საბჭოთა კავშირი, როგორც ხელშეკრულების ინიციატორი, ერთ-ერთი პირველი მოაწერს მას ხელს. ხელშეკრულების დადება იქნება ერთ-ერთი უდიდესი ღონისძიება, რაც კი ოდესმე განხორციელებულა გამალებული ატომური შეიარაღების შესაკავებლად ხანგრძლივი მშვიდობის ინტერესებისათვის.

გაუვრცელებლობის ხელშეკრულება გზას დაუხშობს ატომური იარაღის გავრცელებას და ამით შეამცირებს ატომური ომის გაჩაღების შესაძლებლობას. ფაქტია ისიც, რომ ამ ხელშეკრულების დადება შექმნის კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საყრდენს განიარაღების ამოცანათა გადაწყვეტის ახალი ღონისძიებებისათვის.

საბჭოთა მთავრობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან აცხადებს, რომ კვლავაც მზად არის განახორციელოს საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა და მოუწოდებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ძალღონე არ დაიშურონ ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისათვის.

ახლა ყველა თანახმაა, რომ ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რაც კი კაცობრიობის წინაშე წამოჭრილა, ატომური იარაღის პრობლემაა. რა ვუყოთ ატომურ იარაღს? გაგრძელდება მისი განუწყვეტელი დაგროვება თუ ადამიანები გამონახავენ გზას, რათა ლიკვიდირებულ იქნას მასობრივი მოსპობის ეს იარაღი და უზრუნველყოფილ იქნას ატომური ენერგიის გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის, მხოლოდ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის?

ამ კითხვაზე პასუხი საბჭოთა კავშირმა გასცა მაშინვე, როგორც კი ეს პრობლემა წამოიჭრა. პასუხი მკაფიო და კატეგორიულია: ატომური იარაღი უნდა აიკრძალოს. მისი გამოყენება ეწინააღმდეგება კაცობრიობის სინდისს. მსოფლიო დიდიხანია მიუახლოვდა იმ ზღვარს, როცა ატომური იარაღი კანონგარეშე უნდა გამოცხადდეს.

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ ოცდაორი წლის წინათ წამოაყენა წინადადება დაედოთ საერთაშორისო კონვენცია, რომლითაც აიკრძალებოდა ატომური იარაღის გამოყენება. მას შეჰქონდა აგრეთვე წინადადებანი ატომური იარაღისა და მისი გადატანის საშუალებათა სრული ლიკვიდაციისა და მთელი ატომური ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საკითხებზე.

ეს არის ღრმად მშვიდობისმოყვარული და ჰუმანური წინადადება, რომელიც სოციალიზმის სამყარომ წამოაყენა, წინადადება, რომელიც ნაკარნახევია იმ უდიდესი საფრთხის შეგნებით, რაც დაკავშირებულია ატომური იარაღის არსებობასა და მის შეუზღუდავ წარმოებასთან.

დასავლეთის სახელმწიფოებმა არ მიიღეს ეს წინადადებანი. ამით მათ მძიმე პასუხისმგებლობა იკისრეს, და ისტორიამ რომ მოაწყოს სასამართლო იმ დანაშაულთა საქმის გამო, რომლებიც ხელს უშლიან ატომური იარაღის აკრძალვას, განსასჯელთა სკამზე იქნებოდა იმპერიალიზმის ბანაკი.

მაგრამ არასოდეს არ არის გვიან გამოვასწოროთ მდგომარეობა. საბჭოთა კავშირი მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი, მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას ვიწრო თუ ფართო შემადგენლობით, სხვა სახელმწიფოთა მონაწილეობით და განიხილონ, სერიოზულად განიხილონ საკითხი საერთაშორისო კონვენციის შესახებ, რომელიც აკრძალავს ატომური იარაღის გამოყენებას. ჩვენი ქვეყანა მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ასეთ საერთაშორისო დოკუმენტს.

საბჭოთა კავშირი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა ატომურ სახელმწიფოებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდა. არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის თავის არიდების ცდები. ჩვენ უნდა [illegible] იმ მოღვაწეებს, რომლებიც ატომური იარაღის სრულყოფის საჭიროების საბაბით ფუშავენ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას. ამ საკითხის განხილვისას წამოყენებული საბუთები რაღაც კონტროლის საჭიროების შესახებ უსაფუძვლო და მოჩვენებითია. ვერავინ ვერ აფეთქებს საიდუმლოდ ატომურ იარაღს მიწისქვეშ ისე, რომ ეს არ გამჟღავნდეს.

საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს ატომური განიარაღების შესახებ სხვა წინადადებათა მთელი კომპლექსი ერთობლივად თუ ცალ-ცალკე, ერთ კონფერენციაზე თუ მთელ რიგ თათბირებზე, ოღონდ იმათ, ვინც განიხილავს წინადადებებს ასეთ სერიოზულ საკითხებზე, თავი უნდა დაანებონ ამაო ლაყბობას.

იმ მთავრობებისა და სახელმწიფო მოღვაწეების გარშემო, რომლებიც ქმნიან დაბრკოლებებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღების გზაზე, უნდა აღვმართოთ დაგმობის ნამდვილი კედელი. ეს მოითხოვს ყველა პოლიტიკური მიმდინარეობისა და საზოგადოებრივი ჯგუფის აქტივიზაციას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განიარაღების სასარგებლოდ. ისეთ საქმიანობას, რომელიც გადაიქცევა სახალხო მოძრაობად, შეუძლია აიძულოს განიარაღების მოწინააღმდეგენი, ისინი, ვინც თავისი ბედი და პოლიტიკური კარიერა დაუკავშირა მილიტარიზმსა და გამალებულ შეიარაღებას, უკან დაიხიონ ხალხის მოთხოვნის წინაშე.

საბჭოთა კავშირს სურს, რომ გაუვრცელებლობის ამოცანის გადაწყვეტამ უზრუნველყოს მეტი რეალიზმი და ფართო მიდგომა აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემისადმი.

განიარაღების ერთ-ერთი სფერო, რომელიც ჯერ არ უსინჯავთ, ეს არის ძიება შეთანხმებისა იმის შესახებ, რომ ურთიერთშეიზღუდოს და შემდგომ შემცირდეს ატომური იარაღის — შეტევითი და თავდაცვითი, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის ადგილზე მიტანის სტრატეგიული საშუალებანი. საბჭოთა მთავრობა მზად არის აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის ამ საკითხზეც.

თავის დროზე ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ გვსურს დავინახოთ რაც შეიძლება ნაკლები ზოგადი განცხადებები, საზეიმო დაპირებები, მაღალფარდოვანი ფორმულები და რაც შეიძლება მეტი უაღრესად უბრალო, უაღრესად ნათელი გადაწყვეტილებები და ზომები, რომლებიც მართლაც გამოიწვევდნენ მშვიდობას, ომის საფრთხის სრულ მოსპობაზე რომ არაფერი ვთქვათ" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტომი 33, გვ. 456-457).

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია მუდამ ხელმძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ამ მითითებით.

საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფა. მდგომარეობა ევროპის კონტინენტზე ბევრჯერ ყოფილა ჩვენი პარტიის ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების ღრმად განხილვის საგანი. ევროპის პრობლემები ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების, მისი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოების ყურადღების ცენტრშია.

საერთაშორისო დაძაბულობის ბევრი ხაზი იწყება ევროპაში ან მიემართება ევროპისაკენ. თითქოს გამოცდილებამ უნდა აიძულოს ყოველი მთავრობა, ყოველი პარლამენტი, ყოველი პარტია, რომელსაც შეგნებული აქვთ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა, ჩაწვდნენ აგრესიის პოლიტიკის ფესვებს, რათა საბოლოოდ ამოგლიჯონ ისინი ევროპის ნიადაგიდან. თითქოს ორ მსოფლიო ომს უნდა აღმოეფხვრა ყოველგვარი შემწყნარებლობა გერმანიის მილიტარიზმისადმი, და მით უმეტეს მისი ხრიკების წაქეზება. სამწუხაროდ, ეს ყველგან ასე როდია.

თუმცა ბევრი შემაშფოთებელი პროცესი ევროპაში ჯერჯერობით აშკარად არ იგრძნობა, მაგრამ ამის გამო ეს პროცესები ნაკლებ საშიში როდია. ნატოს სამხედრო ბლოკის პოლიტიკოსები და იდეოლოგები ბევრ ძალას ახმარენ იმას, რომ ეს პროცესები ხალხებისათვის კვლავაც რაც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. მაგრამ განა შეიძლება მოვადუნოთ სიფხიზლე, როცა ვხედავთ, თუ რა ხდება საბერძნეთში? და განა განსაკუთრებულ სიფხიზლეს არ მოითხოვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მილიტარისტული და ნეონაცისტური საშიშროების ზრდა?

იმ საფრთხეზე, რაც მშვიდობას ემუქრება, ევროპაში რევანშის მზადების გეგმებზე უნდა ვილაპარაკოთ მტკიცედ და მთელი ხმით.

„საგანგებო კანონები", რომლებიც ახლახან მიიღო დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა, ბევრად ჰგავს იმ კანონებს, რომლებიც გერმანიაში მიიღეს მეორე მსოფლიო ომის წინ. ჰიტლერელებს დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავდათ გერმანია, და ასეთ კანონებს იღებდნენ იმ მიზნით, რომ გერმანელები მოეწამლათ მილიტარიზმისა და შოვინიზმის შხამით. ასე მათ უადვილდებოდათ ხალხის შერეკვა ყაზარმებში, ხოლო ვინც არ დაეთანხმებოდა მათს პოლიტიკას, — საკონცენტრაციო ბანაკებში.

ისმება კითხვა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიღებული საგანგებო კანონმდებლობის რა შეფასებას ელოდნენ დასავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხრივ? როცა მშვიდობიან დროს დასავლეთელ გერმანელებს აიძულებენ შეეჩვიონ იმ აზრს, რომ ეს-ეს არის ხელი უნდა იკრან იარაღს იმ გეგმური მიზნების მისაღწევად, რომელთა გულისთვის ჰიტლერელები მილიონობით გერმანელს ერეკებოდნენ სასაკლაოზე, ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს მკაცრი დაგმობა ყველა საბჭოთა ადამიანის მხრივ.

დღეს სულაც არა ჟღერს ნაადრევად გაფრთხილება დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ განვითარებაში არსებული საშიში ნიშნების წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელი ერთი-ორი წლის განმავლობაში იქ ხანდახან ძლიერდებიან ეგრეთწოდებული „ნაციონალ-დემოკრატიული" პარტია" და სხვა ნეონაცისტური ძალები. ამ პარტიას უკვე თავისი წარმომადგენლები ჰყავს დასავლეთ გერმანიის ათი მხარიდან შვიდი მხარის ლანდტაგებში და ბუნდესტაგისაკენ ისწრაფვის. ხოლო ისინი, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის განვითარებისათვის, მხრებს იჩეჩავენ — ყველაფერი „კანონიერების ფარგლებში" ხდებაო.

კარგი კანონიერებაა, თუ კანონგარეშე არიან გამოცხადებული ანტიფაშისტები, გერმანელი კომუნისტები, რომლებიც არ შეუდრკნენ გესტაპოს ტერორისა და დილეგების წინაშე. ყოფილი ნაციონალ-სოციალისტები ნაციონალ-დემოკრატებად რომ გადაიქცნენ, ეს როდი ცვლის მათს პოლიტიკურ სახეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „ახალ" აღმოსავლურ პოლიტიკას რომ აცხადებს, ეს სულაც ვერ ხიბლავს ხალხებს, განსაკუთრებით იმ ხალხებს, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ეს პოლიტიკა.

რა რბილ ეპითეტებს არ იგონებენ ბონში ამ პოლიტიკის დასახასიათებლად! მაგრამ განა ასე ახალია ბონის აღმოსავლური პოლიტიკა?

ავიღოთ ევროპის უშიშროების ძირითადი ელემენტი — სახელმწიფოთა არსებული საზღვრების ურყევობა, როგორი პოზიცია უჭირავს აქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას? იქნებ მან, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ცნო ეს საზღვრები? არა, არ უცვნია და ჯერ კიდევ ხელი არ აუღია იმ მოთხოვნაზე, რომ დაიბრუნოს გერმანიის რაიხის 1937 წლის საზღვრები.

საკმარისი იყო დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატთა ამას წინანდელ ყრილობაზე გადაკვრით ეთქვათ, საზღვრების საკითხს უფრო საღად უნდა მივუდგეთო, რომ ბონში მაშინვე გაჯავრებით დაჰკრეს მუშტი მაგიდას, და ეს გაუბედავი გადაკრული სიტყვაც ქარმა წაიღო.

რაღა უნდა ითქვას გერმანელთათვის „საარსებო სივრცის" მოთხოვნების აღდგენაზე, რაც ახლახან გამოაცხადეს ბუნდესტაგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, დიახ — მთავრობის სახელით? ესმით თუ არა ბონში, რა გრძნობებს იწვევენ ამგვარი განცხადებები საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ყველა ქვეყანაში, რომელთა ხარჯზე ჰიტლერი ცდილობდა შეექმნა ყბადაღებული „საარსებო სივრცე"? ნუთუ ნათელი არ არის, რომ ჩვენს დროში უგუნური თამაში „საარსებო სივრცის" შესახებ ნაცისტური ლოზუნგის გარშემო შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მზად არის თავისი ქვეყანა გადაასროლოს არარსებობის სივრცეში.

გერმანიის საზღვრების საკითხი გადაწყვიტა მეორე მსოფლიო ომმა, გადაწყვიტა საბოლოოდ.

ეს გადაწყვეტილება სამუდამოდ ჩაიწერა ევროპის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში საბჭოთა მეომრების სისხლით, საბჭოთა ადამიანების გმირობით.

ამ გადაწყვეტილებაში [illegible] ის დიდი გმირობა, რომელიც ჩაიდინა ჩვენმა ქვეყანამ, როცა ფაშისტური მონობისაგან იხსნა ევროპის ყველა ხალხი და მსოფლიოს ხალხები.

ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა საზღვრების, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრის სადარაჯოზე დგას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მთელი ძლიერება, და ჩვენი ხალხი არავის არ ურჩევს თავის თავზე გამოსცადოს ეს.

ავიღოთ ევროპის უშიშროების მეორე ასპექტი — ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამ საკითხშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიცია ახალი როდია. განა იქ უკუაგდეს გაკოტრებული „ჰალშტაინის დოქტრინა", უარი თქვეს პრეტენზიებზე ილაპარაკონ ყველა გერმანელის სახელით? სრულებითაც არა.

მაშ როგორია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხაზი დასავლეთ ბერლინის მიმართ: ხაზი წინანდელია: კვლავ მეორდება ცდები მოახდინონ ანექსია იმ ქალაქისა, რომელიც არასოდეს არ ეკუთვნოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და არც იქნება მისი კუთვნილება. მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ გერმანიას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დროდადრო მწვავდება ვითარება დასავლეთ ბერლინის გარშემო. ბუნებრივია, რომ პროვოკაციებს ამ ქალაქის მიმართ კვლავაც საკადრის პასუხს გასცემენ საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავის აღმოსავლეთით პოლიტიკას „ახალს" უწოდებს, ხოლო ჩეხოსლოვაკიასთან ურთიერთობას საფუძვლად უდებს მიუნხენის 1938 წლის შეთანხმებას. ისევე როგორც წინათ, მას არა სურს ცნოს, რომ ეს სამარცხვინო შეთანხმება იმთავითვე ძალადაკარგული იყო.

და თუ მაინც რაიმე არის ახალი დასავლეთ გერმანიის აღმოსავლეთით პოლიტიკაში, ეს არის მხოლოდ დამატებითი მარაგი შუღლისა სოციალისტური ქვეყნების მიმართ, იმის სურვილი, რომ კიდევ უფრო გაწაფული ხერხებით მიაყენოს ზიანი მათს ერთიანობას. სოციალისტური ქვეყნები კვლავაც საკადრის პასუხს გასცემენ ასეთ ცდებს.

თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას სურს დაამტკიცოს, რომ მშვიდობიანი განზრახვები აქვს, მაშინ მისი საქმე და სიტყვა ერთი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ამასთან მხედველობაში გვაქვს საკმაოდ აწონილდაწონილი და რეალისტური სიტყვები და არა ისეთი სიტყვები, როგორიც ამ დღეებში ბუნდესტაგში წარმოთქვა კანცლერმა კიზინგერმა. ჩვენ იმიტომ გავიხსენეთ ეს განცხადება, რომ იგი გამსჭვალულია „ცივი ომის" სულისკვეთებით.

როდესაც ადენაუერი ამტკიცებდა, წარსულის აჩრდილები ხელს უშლიან დასავლეთ გერმანიას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარებაშიო. მართალია, წარსული მალე როდი წაიშლება ევროპის ხალხთა მეხსიერებაში. მაგრამ დღეს წარსულის აჩრდილები კი არ ეღობებიან მომავალს, არამედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი პოლიტიკა. ეჭვი არ არის, განცხადებანი ევროპაში დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ, რომლებიც დროდადრო გვესმის ბონიდან, დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს პრაქტიკულ საქმეებს რომ შეესაბამებოდეს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და გამოხმაურებას ჰპოვებდა საბჭოთა კავშირის მხრივ.

როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა გვთავაზობს ერთმანეთს გავუცვალოთ განცხადებანი, რომ უარს ვამბობთ ძალის გამოყენებაზე, და ამასთან გვერდს უვლის საკითხს ევროპის ახლანდელი საზღვრების აღიარების შესახებ, იძულებული ვხდებით ჩავუფიქრდეთ, თუ როგორია ასეთი წინადადების მიზნები.

დასავლეთმა გერმანიამ რომ სხვა სახელმწიფოებს წაუყენოს მარტო ეს პრეტენზია — საზღვრების შესახებ, მოითხოვოს მათი გადასინჯვა, ამ შემთხვევაშიც ასეთი პოლიტიკა უნდა დავგმოთ როგორც რევანშისტული, ხოლო მისი მიზნები უნდა ჩავთვალოთ ისეთ მიზნებად, რომლებიც არ შეესაბამებიან ევროპის მშვიდობის ამოცანებს. მაგრამ ეს, როგორც ცნობილია, ერთადერთი პრეტენზია როდია.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობა ერთ-ერთია საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებიდან, რომლებიც ფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. საბჭოთა კავშირი ცდილობდა, რომ ეს პრინციპი შეტანილი ყოფილიყო წესდებაში. მაგრამ რევანშის, სხვისი მიწების დაჩემების პოლიტიკის ლეგალიზაციის ცდები შეურიგებლად ეწინააღმდეგება ძალის გამოუყენებლობის პრინციპს.

ძალის გამოუყენებლობის შესახებ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან განცხადებათა გაცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ევროპაში შექმნილი მდგომარეობის ნათლად და ზუსტად აღიარების საფუძველზე, ამასთან იმ საფუძველზე, რომ ცნონ ის ფაქტი, რომ არსებობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ჩვენი მეგობარი და მოკავშირე, რომლის უშიშროება განუყოფელია ჩვენი საკუთარი უშიშროებისაგან, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროებისაგან.

თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავის წინადადებას სერიოზული განზრახვებით აყენებს, მან ეს დაამტკიცოს საერთაშორისო შეთანხმებებისადმი პატივისცემით, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროპის ომისშემდგომ წყობილებას, უწინარეს ყოვლისა მთელი პოტსდამის შეთანხმებისადმი პატივისცემით.

საბჭოთა მთავრობა მზად არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან განაგრძოს აზრთა ურთიერთგაზიარება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში აქვს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კონსტრუქციულად მიუდგება ამ პრობლემას. საბჭოთა კავშირში მიესალმებოდნენ თვითეულ ნაბიჯს, რომელიც ემსახურება ევროპაში დაძაბულობის შენელებას, ევროპის უშიშროებასა და საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სოციალისტურმა ქვეყნებმა ბუქარესტის დეკლარაციაში წამოაყენეს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა პროგრამა. ეს წინადადებანი სავსებით ინარჩუნებენ თავიანთ ძალას, ისე როგორც წინადადებანი, რომლებიც მოცემულია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ევროპის უშიშროების საკითხებზე, და განიხილავს მთელის მოლაპარაკების მაგიდასთან.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირი აყენებს წინადადებას, რომ დავიწყოთ მზადება სრულიად ევროპის თათბირისათვის, რათა განვიხილოთ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და სრულიად ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის მოწესრიგების საკითხები. საბჭოთა მთავრობა მზად არის შესაბამისი კონტაქტები დაამყაროს ევროპის სახელმწიფოთა იმ მთავრობებთან, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ საჭირო და გადაუდებელია აღნიშნული მიზნით ღონისძიებათა შეთანხმება და გაერთიანება.

მას შემდეგ, რაც წინადადება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ განხილვის საგანი გახდა, ასე თუ ისე გამოირკვა სხვადასხვა სახელმწიფოს დამოკიდებულება მისდამი. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა დადებითად ეკიდება ამ იდეას, მაგრამ ნატოს მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები უკვე მიმართავენ ხერხებს, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ამუშავებდა მათი დიპლომატია, რათა არ დაეშვა ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღება ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გვეუბნებიან, საერთოდ ეს იდეა კარგია, მაგრამ ძნელი განსახორციელებელია, რადგან შეუძლებელია, რომ ევროპის ყველა სახელმწიფო ერთად შეიკრიბოსო.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები მზად არიან დაუსრულებლივ ილაპარაკონ თათბირის თემაზე, მაგრამ არაფერი არ გადაწყვიტონ. განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, საოცარ დამოკიდებულებას იჩენენ ისინი პროცედურის საკითხებისადმი. ოღონდ არ გასცდნენ ამ საკითხების ჩარჩოებს, გვერდი აუარონ საქმის არსის განხილვას.

ეს ხომ ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპაში არ გამართულა არც ერთი კონფერენცია, არც ერთი თათბირი, რომელშიც მონაწილეობის მიღებას შესძლებოდათ ევროპის უკლებლივ ყველა სახელმწიფოს მთავრობათა წარმომადგენლებს. რა კონფერენციები არ იყო მსოფლიოში — დიდიც და პატარაც! რომელ კონტინენტს არ მოუწყვია თავისი რეგიონალური თათბირები!

მაგრამ აი გამოდის, თითქოს ევროპის სახელმწიფოებს, ერთად რომ შეიკრიბონ, ომისა და მშვიდობის საკითხებზე არაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი, თითქოს არ ყოფილიყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რომლებიც ევროპაში დაიწყო, თითქოს ამ ევროპაში დღემდე ციებ-ცხელებას არ იწვევდეს გადაუჭრელი პრობლემები.

რას იზამ, საბჭოთა კავშირი პირველად როდი ხვდება ზოგიერთი სახელმწიფოთა მთავრობების იოლ დამოკიდებულებას ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი. მაგრამ, შეგნებული აქვს რა თავისი პასუხისმგებლობა ევროპის მშვიდობის ბედისათვის და რამდენადაც ეს მასზეა დამოკიდებული, იგი კვლავაც ეცდება დააჯეროს ევროპის ყველა სხვა სახელმწიფო, რომ საჭიროა განიხილონ და გადაჭრან ევროპის უშიშროების პრობლემები, და მას, ისე როგორც ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს, სინდისი სუფთა აქვს. ჩვენ ვასრულებთ და კვლავაც შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ევროპაში დაძაბულობის შენელებისათვის, ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ ევროპის მშვიდობა, რომლის მოპოვებაში ჩვენმა არმიამ და ჩვენმა ხალხმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომის დროს, არ დაირღვეს. მზად ვიყოთ გამოვეხმაუროთ ყოველ კონსტრუქციულ ნაბიჯს, რომელიც განამტკიცებს ევროპის მშვიდობის შენობას, გადაჭრით წინაღვუდგეთ ევროპაში მშვიდობისა და სოციალიზმის პოზიციების შელახვის ყოველ ცდას — რასთან დაკავშირებითაც უნდა ხდებოდეს ეს ცდები — აი ეს არის საბჭოთა კავშირის საევროპო პოლიტიკის არსი. ჩვენ მტკიცედ ვახორციელებთ ამ პოლიტიკას და ერთიანი ვართ სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისათვის, საბჭოთა ხალხისათვის არ არსებობს უფრო სანუკვარი საქმე საგარეოპოლიტიკურ დარგში, ვიდრე სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცება. სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა მონაპოვრებისა და შეკავშირების დაცვა ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, რომლის ერთგული დარჩება ჩვენი ქვეყანა, რა განსაცდელიც უნდა შეხვდეს.

კარლ მარქსს, რომლის დაბადების 150 წლისთავი ამას წინათ ზეიმით აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, საჭიროდ მიაჩნდა ბრძოლა იმისათვის, რომ „ზნეობისა და სამართლიანობის უბრალო კანონები, რომლებითაც თავიანთ ურთიერთობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ კერძო ადამიანები, გახდნენ უმაღლესი კანონები ხალხთა ურთიერთობაშიც" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. მე-2 რუს. გამოცემა, ტ. 16, გვ. 11).

სოციალისტური ქვეყნები ღირსეულად ასრულებენ ამ ისტორიულ მისიას, ამკვიდრებენ საერთაშორისო ურთიერთობაში სამართლიან და ჰუმანურ პრინციპებს, რომლებზეც წერდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიების, სოციალისტური ქვეყნების მთავრობების დიდი დამსახურება ის არის, რომ ყველაზე რთულ საერთაშორისო სიტუაციებშიც პოულობენ ისინი მათ წინაშე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის პრინციპების, ეროვნული ინტერესების სოციალისტური თანამეგობრობის საერთო ინტერესებთან შეხამების საფუძველზე.

რა თქმა უნდა, სოციალიზმის სამყარო იზრდება და ვითარდება ისეთ პირობებში, სადაც განუწყვეტლივ ეჯახება ერთმანეთს ორი სოციალურ-ეკონომიური სისტემა, ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეოლოგიები, პროგრესისა და რეაქციის ძალები, მშვიდობისა და ომის ძალები.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ იმპერიალიზმი, განიცდის რა სერიოზულ შერყევებს და არა ერთ დიდ მარცხს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სამხედრო-პოლიტიკურ დარგში ავანტიურებთან ერთად სულ უფრო მეტ ძალღონეს ახმარს ძირგამომთხრელ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

მაგრამ სიბეცეა, ამაოა იმათი ვარაუდი, ვინც ლამობს თუნდაც ერთი რგოლი გამოაცალოს სოციალისტურ თანამეგობრობას. ამის ნებას სოციალისტური თანამეგობრობა არავის მისცემს. სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა განუყოფელი მთლიანობაა, ჩვენი პარტია და მთავრობა მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიებთან და მთავრობებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობენ მისი განუხრელი პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი განმტკიცებისათვის.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## ინდოელი პარლამენტარები მოსკოვში გაფრინდნენ

ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია სახალხო პალატის თავმჯდომარის დოქტორ ნ. სანჯივა რედის მეთაურობით, რომელიც ორ დღეს იყო საქართველოში, 27 ივნისს დილით მოსკოვში გაფრინდა. საბჭოთა კავშირში დელეგაცია ჩამოვიდა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

თბილისის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, სტუმრები გააცილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რ. რ. დვალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რ. ა. ჩაფარიძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. ბიბილეიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა კ. კ. ბარდაფხაძემ, პ. გ. გელბახიანმა, გ. ნ. ჯიბლაძემ, მ. ე. თოფურიძემ, ვ. ი. ჭიაურელმა, ვ. ა. ჩოფიკაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველმა მ. ა. ჭიჭინაძემ, ჟურნალისტებმა.

დელეგაციის წევრთა სახელით დოქტორმა ნ. სანჯივა რედიმ გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი, მეგობრული მასპინძლობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ასეთი ვიზიტები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთკავშირების განმტკიცებას, თანამშრომლობას.

სტუმრებთან ერთად მოსკოვში გაფრინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ბ. ჩაკოვსკი, რომელიც დელეგაციას ახლავს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

(საქინფორმი).

# გორკის დღეები საქართველოში




მე არასოდეს არ დამავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში (თბილისი — რედ.) გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ აგერ უკვე მეოთხე ათეული წელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცეს ბიძგი, რომელმაც მოხეტიალედან ლიტერატორი გამხადა.

მაქსიმ გორკი

1931 წელი.

გორკი, რომელიც ხალხიდან გამოვიდა, შეადგენს ერთ მთლიანობას, პროლეტარიატის სინდისთან. გორკი და პროლეტარიატი ერთმანეთისაგან განუყოფელია.

რომენ როლანი.

ისეთი ადამიანი, როგორიც გორკია, მთელ მსოფლიოს ეკუთვნის.

ანატოლ ფრანსი.

გორკიმ გააფართოვა ლიტერატურული შემოქმედების სფერო, აღმოაჩინა ახალი გზები, პერსპექტივები მსოფლიო ლიტერატურისათვის.

ჰაინრიხ მანი.

გორკის უდიდესი მხატვრული და პოლიტიკური მნიშვნელობა რუსული და მსოფლიო ლიტერატურისათვის. ეს უეჭველია და არავითარი მტკიცება არ ესაჭიროება.

ბერტოლდ ბრეხტი.



მაქსიმ გორკი.

# გორკი და ჩვენი თანამედროვეობა

## სიტყვას ვაძლევთ სტუმრებს

### ვესლავ ევჯინსკი

პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი

გორკის შემოქმედებამ დიდი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა პოლონურ ლიტერატურაზე. სტეფანე ჟერომსკი და ჰენრიკ სენკევიჩი კარგად იცნობდნენ მაქსიმ გორკის და მის შესანიშნავ ნაწარმოებებს. პოლონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი პიესები და წარმატებითაც იდგმება ჩვენი თეატრების სცენაზე. მაგალითად, „მდაბიონი" წარმოადგინეს ქ. ლოძში. სპექტაკლი ძალიან ნოვატორულად არის გააზრებული და გამოირჩევა აქტიორული და რეჟისორული ოსტატობით.

საქართველოში პირველად ვარ. მჯერა, გორკის დღეები საქართველოში დაუვიწყარ შთაბეჭდილებად გამყვება სამშობლოში.

### ხუანგ სუან ნი

ვიეტნამელი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი

ახლა, როცა ვიეტნამელი ხალხი გმირულად იბრძვის ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, დიდი რუსი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედება მთელი თავისი მძლავრი რევოლუციური პათოსითა და ჰეროიკით, დიდი ჰუმანიზმითა და შემართებით გვეხმარება მტერთან ბრძოლაში — იქნება ეს იდეოლოგიურ ჭიდილში თუ ვაჟკაცურ შერკინებაში. ეს არის ჭეშმარიტი შემოქმედება მწერლისა, რომელიც შეიყვარა ვიეტნამელმა ხალხმა.

თქვენს ქვეყანაზე ბევრი წამიკითხავს, მინახავს ქართული ფილმები. შორიდან ვიცნობდი თქვენს პოეზიას. ახლა ოცნება ამიხდა, სტუმრად გეწვიეთ, ისიც მაქსიმ გორკის მეორე სამშობლოში. მოუთმენლად ველი ახალ კონტაქტებს ქართველ მეგობრებთან. საუბარი მაღალ დონეზე, რომლის პროგრამაში კვლავ წინა პლანზე აღიმართება დიდი მაქსიმ გორკის შემოქმედება, გრძელდება საქართველოს მიწაზე.

### იოჰანი კონკა,

ფინელი მწერალი

თხუთმეტი წლის ჭაბუკმა პირველად წავიკითხე პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსები. რუსული ლირიკის შედევრებმა ისე მომხიბლა, რომ შემდეგში ხელიდან აღარ ვუშვებდი შემთხვევას რუსულ ლიტერატურას უფრო ახლოს და საფუძვლიანად გავცნობოდი. ვთარგმნე გორკის ოთხი ტომი.

ადრე დიდი რუსი მწერალი ფინეთს ესტუმრა, და ამბობენ, რომ ფანტასტიკური შეხვედრები მოუწყეს ჰელსინკში. მიუხედავად იმისა, რომ იანვარი იყო, მაქსიმ გორკის მთელ გზაზე ყვავილები ფიანდაზად დაუფინეს ჩემმა თანამემამულეებმა — მუშებმა, სტუდენტებმა, ინტელიგენციამ. ამ შეხვედრის ცოცხალი მოწმე ფინელი ადვოკატი ენკვისტი ახლაც ცოცხალია და სიამაყით იგონებს დიდ რუს მწერალთან შეხვედრებს.

მაშ ასე, ჩვენ ახლა საქართველოში ვართ და განვაგრძობთ საზეიმო სვლას გორკისათვის ძვირფას მიწაზე.

### მოჰამედ იტანი

ლიბანელი ნოველისტი

საბჭოთა ქვეყანაში ჩამოსვლამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმაში, თუ რაოდენ დიდია თქვენი ხალხის სოლიდარობა არაბ ხალხებთან. ისრაელის სამხედრო ხროვის იმპერიალისტური ხრიკები გვჯერა კრახით დამთავრდება. საბჭოთა ადამიანების კეთილშობილება, მხარდაჭერა გვეხმარება სამართლიან ბრძოლაში.

შორეულ ლიბანში უყვართ გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი. მისი შემოქმედება პირადად ჩემთვის მახლობელი და ძვირფასია. საქართველოში ბევრჯერ მინდოდა ჩამოსვლა და ახლა, როცა ამის საშუალება მომეცა, ბედნიერად ვგრძნობ თავს.



სურათზე: მ. გორკი თბილისში, 1928 წელს, ქართველ მწერლებთან ერთად. მარცხნიდან მარჯვნივ, სხედან: ა. აბაშელი, ტ. ტაბიძე, ბ. ინგოროყვა, ნ. მიწიშვილი, მ. ორახელაშვილი, მაქსიმ გორკი, ს. თოდრია, გორკის თანმხლები პირი, ვ. რუხაძე; დგანან: პ. კეშელავა, კ. კალაძე, ვ. ასირბეკოვი, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, ბ. ბუაჩიძე, ალ. სულავა, შ. რადიანი, ა. სიტკოვსკი, ბ. კრეიტანი, გ. ქუჩიშვილი.

# ვინ რა მოიგო

## ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1968 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1968 წლის 25 ივნისს დ. ჩხოროწყუში. ტირაჟში გათამაშდა 258 ნივთმოგება და 154.742 ფულადი მოგება 279.000 მანეთი თანხისა.

მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 15506 | 043 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 15510 | 302 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15521 | 137 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 15525 | 047 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15528 | 170 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 15535 | 042 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 15577 | 466 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 15590 | 043 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15597 | 063 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15600 | 122 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15603 | 495 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15605 | 422 *) | 200 მანეთი | — |
| 15607 | 1 — 500 | 15 მანეთი | — |
| 15616 | 355 *) | 50 მანეთი | — |
| 15622 | 102 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 15634 | 039 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 15636 | 499 *) | 50 მანეთი | — |
| 15638 | 075 *) | 25 მანეთი | — |
| 15658 | 147 *) | 50 მანეთი | — |
| 15662 | 005 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 15696 | 399 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15697 | 093 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 15713 | 166 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 15718 | 234 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15731 | 086 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 15742 | 148 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 15744 | 195 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 15757 | 014 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 15760 | 379 *) | 25 მანეთი | — |
| 15770 | 009 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 15779 | 258 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 15784 | 231 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15790 | 093 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 15804 | 368 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15825 | 383 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 15843 | 047 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15864 | 397 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 15897 | 496 *) | 1000 მანეთი | — |
| 15911 | 425 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 15919 | 315 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 15924 | 236 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 15934 | 130 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15941 | 129 *) | 50 მანეთი | — |
| 15947 | 272 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 15951 | 464 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15952 | 389 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15957 | 023 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 15963 | 239 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 15971 | 203 *) | 25 მანეთი | — |
| 15972 | 172 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 15975 | 315 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 15978 | 459 *) | 200 მანეთი | — |
| 15983 | 116 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 15988 | 014 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 15992 | 266 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 16052 | 400 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16058 | 317 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16066 | 173 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16071 | 356 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16073 | 403 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 16096 | 156 *) | 25 მანეთი | — |
| 16119 | 223 *) | 300 მანეთი | — |
| 16125 | 365 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 16151 | 430 *) | 25 მანეთი | — |
| 16152 | 139 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16153 | 465 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16182 | 051 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16184 | 296 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16191 | 317 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16193 | 397 *) | 25 მანეთი | — |
| 16212 | 083 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16221 | 322 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 16226 | 068 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16228 | 463 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16253 | 341 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16254 | 234 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16262 | 477 *) | 500 მანეთი | — |
| 16269 | 265 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16282 | 079 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16287 | 072 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16291 | 1 — 500 | 15 მანეთი | — |
| 16297 | 042 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16308 | 468 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16312 | 029 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16318 | 345 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16327 | 265 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16336 | 106 *) | 25 მანეთი | — |
| 16378 | 137 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16387 | 227 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 16393 | 226 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16405 | 137 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16411 | 304 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16412 | 263 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16430 | 181 *) | 25 მანეთი | — |
| 16437 | 403 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16449 | 494 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16467 | 499 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16471 | 488 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16481 | 444 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16493 | 296 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16497 | 367 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 16499 | 081 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16508 | 458 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16509 | 272 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16519 | 469 *) | 25 მანეთი | — |
| 16529 | 442 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16550 | 008 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16552 | 202 *) | 25 მანეთი | — |
| 16554 | 364 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16558 | 395 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16570 | 150 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16577 | 118 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16581 | 452 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16596 | 449 *) | 100 მანეთი | — |
| 16598 | 490 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16606 | 254 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16607 | 269 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 16608 | 064 *) | 50 მანეთი | — |
| 16611 | 452 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 16613 | 012 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16631 | 304 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16643 | 077 *) | 100 მანეთი | — |
| 16669 | 450 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16689 | 095 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 16698 | 388 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16705 | 160 *) | 25 მანეთი | — |
| 16709 | 095 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16710 | 108 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16743 | 342 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16747 | 406 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16751 | 095 *) | 300 მანეთი | — |
| 16752 | 302 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16755 | 342 *) | 300 მანეთი | — |
| 16756 | 106 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16762 | 074 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16766 | 161 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16770 | 160 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16793 | 398 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16797 | 295 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16804 | 222 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16813 | 036 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 16821 | 212 *) | 200 მანეთი | — |
| 16852 | 021 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16855 | 330 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16865 | 452 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16872 | 479 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16887 | 381 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16898 | 019 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16935 | 258 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 16954 | 243 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16962 | 421 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 16963 | 322 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 16984 | 128 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 16997 | 499 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17024 | 001 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17036 | 409 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17038 | 290 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17058 | 257 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17076 | 442 *) | 200 მანეთი | — |
| 17080 | 093 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17082 | 449 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17086 | 363 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17089 | 041 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17094 | 348 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17107 | 163 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17115 | 250 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17122 | 004 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17135 | 335 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17139 | 118 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17141 | 039 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17158 | 407 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17167 | 145 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17168 | 464 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17170 | 207 *) | 25 მანეთი | — |
| 17186 | 235 *) | 25 მანეთი | — |
| 17200 | 377 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17208 | 011 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17209 | 199 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17239 | 255 *) | 25 მანეთი | — |
| 17267 | 254 *) | 25 მანეთი | — |
| 17271 | 034 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17283 | 213 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17289 | 438 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17293 | 050 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17330 | 1 — 500 | 10 მანეთი | — |
| 17334 | 360 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 17354 | 435 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17389 | 006 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17391 | 242 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17398 | 248 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17412 | 054 *) | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 19 — 95 |
| 17430 | 181 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 17461 | 333 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17486 | 096 *) | 50 მანეთი | — |
| 17494 | 082 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17511 | 180 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17513 | 403 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17520 | 340 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17529 | 340 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17541 | 189 *) | 50 მანეთი | — |
| 17556 | 242 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17560 | 194 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17573 | 191 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17592 | 403 *) | 50 მანეთი | — |
| 17595 | 267 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17600 | 315 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17604 | 286 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17610 | 350 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17622 | 088 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 17638 | 296 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17646 | 174 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17657 | 453 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17658 | 114 *) | 100 მანეთი | — |
| 17659 | 002 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17693 | 468 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17714 | 385 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17716 | 109 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 17733 | 404 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17742 | 181 *) | 100 მანეთი | — |
| 17745 | 075 *) | 100 მანეთი | — |
| 17801 | 057 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17809 | 025 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3000 — 00 |
| 17813 | 238 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17814 | 287 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 17822 | 459 *) | 500 მანეთი | — |
| 17826 | 253 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17841 | 410 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17854 | 395 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17867 | 368 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17912 | 165 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 17914 | 309 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17918 | 325 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 17921 | 090 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17932 | 229 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17934 | 361 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 17938 | 415 *) | 25 მანეთი | — |
| 17946 | 131 *) | ავტომობილი „ვოლგა" | 5602 — 00 |
| 17970 | 099 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 17971 | 352 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 17981 | 337 *) | 500 მანეთი | — |
| 18015 | 345 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18025 | 066 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18040 | 238 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18052 | 412 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18055 | 421 *) | ავტომობილი „ვოლგა" | 5602 — 00 |
| 18057 | 262 *) | 25 მანეთი | — |
| 18069 | 431 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18075 | 196 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 18080 | 451 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18082 | 082 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18085 | 188 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18088 | 083 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18112 | 104 *) | 25 მანეთი | — |
| 18115 | 282 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18118 | 106 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18132 | 461 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18151 | 324 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18158 | 031 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18163 | 397 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18168 | 212 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18169 | 338 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18180 | 397 *) | 300 მანეთი | — |
| 18181 | 041 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18182 | 147 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18192 | 213 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18217 | 126 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18223 | 106 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18228 | 284 *) | 200 მანეთი | — |
| 18235 | 170 *) | ფოტოაპარატი | 38 — 00 |
| 18237 | 170 *) | 25 მანეთი | — |
| 18245 | 356 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 18251 | 122 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 18252 | 109 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18258 | 398 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18262 | 296 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18272 | 383 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18283 | 004 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18307 | 157 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18321 | 149 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18331 | 157 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18342 | 125 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 18344 | 088 *) | ტელევიზორი | 210 — 00 |
| 18364 | 119 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18369 | 280 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18375 | 319 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 18378 | 406 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 18393 | 188 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18414 | 430 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18415 | 243 *) | 100 მანეთი | — |
| 18433 | 435 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18456 | 338 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3000 — 00 |
| 18466 | 195 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18469 | 062 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18470 | 492 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 18471 | 181 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18488 | 362 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18491 | 155 *) | 25 მანეთი | — |
| 18495 | 062 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18498 | 476 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18499 | 157 *) | მაცივარი „დნეპრი" | 225 — 00 |
| 18507 | 220 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18513 | 215 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18526 | 1 — 500 | 10 მანეთი | — |
| 18541 | 150 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4511 — 25 |
| 18548 | 034 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18570 | 306 *) | პიანინო | 526 — 50 |
| 18574 | 119 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18581 | 235 *) | რადიოლა | 149 — 50 |
| 18586 | 427 *) | მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით | 30 — 00 |
| 18595 | 477 *) | 300 მანეთი | — |

შენიშვნა: *) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1-500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

## მოგებათა მიღების წესი:

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი სალარო. 50 მანეთს ზევით მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელს აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე ელექტროქსელის ძაბვა, ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარდგენილ იქნას განაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1969 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთის გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რესპუბლიკის ყველა დიდი ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში.

**კომისიის თავმჯდომარე:**
ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. თოდუა.

**თავმჯდომარის მოადგილე:**
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ა. დგებუაძე.

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი:**
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი მ. ჯანბიძე.

ჩვენი კურორტები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ათონის დასასვენებელ სახლ „ჩანჩქერის" დამსვენებლები ათვალიერებენ კურორტის მიდამოებს.

ფოტო ს. კილაძისა.

## იქნებ ოცდამეშვიდე...

თასისათვის ბრძოლა დიდი ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და, რა თქმა უნდა, მეტად პოპულარულიც არის. ამჟამად საქმე გვაქვს თასის ოცდამეშვიდე გათამაშებასთან, მის მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრებთან.

მერვედფინალის საგზურისათვის დღეს ცხრა წყვილი შეხვდება ერთმანეთს. მათ შორის უნდა გამოვყოთ კიევის „დინამოს" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩი კიევში, ცსკა-სა და დნეპროპეტროვსკის „ლოკომოტივის" თამაში მოსკოვში და თბილისის „დინამოსა" და დონის როსტოვის სკა-ს პაექრობა თბილისში.

თბილისის „დინამო" თასის ყველა გათამაშების მონაწილეა. [illegible]

[illegible]

თუ გადავავლებთ თვალს დღევანდელი ნიმუშის „დინამოს", მის პოტენციალსა და ტრადიციას, თასისათვის ბრძოლის კარგი შანსები გვაქვს.

ახლა სიტყვა დინამოელებს ეკუთვნის.

## პირველი სიურპრიზები

[illegible]

## 11 ქულის სხვაობით

სოფიაში მიმდინარეობს საერთაშორისო მატჩი ჭადრაკში იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. [illegible] მატჩის ანგარიში 17:6 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

## დიდი ტურნირი

[illegible]

## ჩემპიონატის კონტურები

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა — ევროპის 1969 წლის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის მოეწყოს იტალიაში 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

ჯგუფებში გამარჯვებული 10 კოლექტივი და იტალიისა (როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა) და სსრ კავშირის (როგორც ევროპის ჩემპიონი) გუნდები დასკვნით ასპარეზობას იტალიაში გამართავენ.

ტრესტ „იალტასპეცსტროის" სპეციალიზებული სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სარემონტო-სამშენებლო უბანი

**იწვევს**

მუდმივ სამუშაოდ მშენებელ ინჟინრებს სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით.

მისამართი: ქ. გაგრა, კურორტის ქუჩა № 2. ტრესტ „იალტასპეცსტროის" სარემონტო-სამშენებლო უბანი „უკრაინა".

# რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

## რადიო

**29 ივნისი**

**პირველი პროგრამით**

06.35 — ქართველ კომპოზიტორთა კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. კორესპონდენტის ნაამბობი „იმქიან უხვ მოსავალს", 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — უკრაინის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — ლისტი. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 11.30 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 11.45 — დუეტები ქართული ოპერებიდან, 12.10 — კამერული მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს" (მოსკოვი), 14.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 15.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 15.15 — საორკესტრო პიესები, 15.40 — გადაცემა ციკლიდან „მწერალი და ცხოვრება", 16.00 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები" — დავით ანდღულაძე, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი", 19.30 — მ. გრინბერგისა და ი. პეტროვის კონცერტი, 20.20 — რადიოჟურნალი „შოლტი". სტუმრად ქუთაისში, 20.50 — შუბერტი. სიმღერები, 21.00 — კვირის საერთაშორისო ამბები (მოსკოვი), 21.20 — მუსიკა კინოფილმებიდან, 21.50 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის. რადიონარკვევი „ვაჟა-ფშაველას კაბინეტი", 23.30 — ზ. კოდაი. ნაწყვეტები კომიკური ოპერიდან „ჰარი იანოში".

## ტელევიზია

**28 ივნისი**

14.00 — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს მონაწილეობით, მიძღვნილი მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ვისაუბროთ პროფესიაზე" 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — „დინამო" (თბილისი) არმიის სპორტული კლუბი (როსტოვი) მეორე ტაიმი, 19.45 — კინოპროგრამა, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.15 — საუბარი „პარტიული განათლება მასებს", 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) მეორე ტაიმი. გადაცემა კიევიდან, 22.15 — კინოპროგრამა, 23.00 — გადაცემა „საბჭოთა კომპოზიტორები" — არამ ხაჩატურიანი, 24.00 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ძიუ-დოში: საქართველო-იაპონია (ვიდეოჩანაწერის გამეორება მოსკოვიდან).

**ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 18-დან 00 საათსა და 45 წუთამდე.**

## თეატრები

**28 ივნისი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (მე-11 აბონ. მე-7 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძია ბალდასარი.

## კინო

**28 ივნისი**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), ბათუმი, ეკრანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — თავგადასავალთა მაძიებელნი, ამირანი (საზაფხულო), კომკავშირელი, თანამგზავრი, ნაკადული, სპარტაკი — ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი, ფილარმონიის ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — ოსტატ-ჯალათი, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — სალთან მეფის ზღაპარი, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი, 1, 3, 5, 7, 9 ს.) — დედაკაცების სამეფო, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — სირტაკი, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი, 2, 6 ს.), კოლმეურნე — კირკიტი კაკალი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ფანტომასი (I, II სერია), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კომკავშირელი, თბილისი, ყაზბეგი (II დარბაზი), კოლმეურნე, სპორტი — დოყლაპია.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-29-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54. განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04143 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.